ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3107222

ნომერი: AR1478893

თარიღი : 15.02.2017

გაცემის თარიღი : 13.03.2017

გაცნობის თარიღი : 01.06.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. #11/ქ. თბილისი, თინა იოსებიძის ქ. # 9ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან ცხადაძე პ/ნ 18001054640
- ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-5 კვ. კ.4, ბ. 126

ნომენკლატურა :

- აშენებული
- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
- დასრულება შემდგომი ლეგალიზებით
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

2017 წლის 15 თებერვალს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.geმეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1478893 განცხადებით მომართა, შპს „ბაჯითი“-ს დირექტორის მიხეილ კვეტენაძის წარმომადგენელმა ამირან ცხადაძემ და მოითხოვა, ქ. თბილისში, საბურთალოზე, იოსებიძის ქუჩის #11-ში / ქალაქ თბილისში, თინა იოსებიძის ქუჩის #9ბ-ში, შპს „ბაჯითი“-ს საკუთრებაში არსებულ #01.10.13.027.055 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ დაწყებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღვრა, „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვისგამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ

ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილებისლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების თანახმად, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, გადაამოწმა სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, შეისწავლა ზემოხსენებული #AR1478893 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტები და დაადგინა შემდეგი:

2017 წლის 27 თებერვალს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, www.tas.ge მეშვეობით მომართა შპს „ბაჯითი“-ს დირექტორის მიხეილ კვეტენაძის წარმომადგენელმა ამირან ცხადაძემ და მოითხოვა, #AR1478893 განცხადების განუხილველად დატოვება ანუ #AR1478893 განცხადება აღარ შეიცავს მოთხოვნას, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ერთ-ერთ სავალდებულოს განცხადების შინაარსისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ განუხილველად იქნეს დატოვებული #AR1478893 განცხადება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

_____ განუხილველად იქნეს დატოვებული შპს „ბაჯითი“-ს დირექტორის მიხეილ კვეტენაძის წარმომადგენლის ამირან ცხადაძის #AR1478893 განცხადება.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.